ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

ბრძანება

N 717
09/11/2017

,,საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ'' ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 ოქტომბრის N705 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61[1] მუხლის მე-4 ნაწილისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის N223 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბათილად იქნეს ცნობილი ,,საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ'' ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 ოქტომბრის N705 ბრძანება.

2. ბრძანება გაეგზავნოს საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

მერაბ ალექსიძის #1,
საქართველო, თბილისი, 0193
ტელ: (032) 2 26 11 92

#1 Merab Aleksidze st.
Georgia, Tbilisi, 0193
Tel: (032) 2 26 11 92